

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სოფელ ნატანების მაჟორიტარ დეპუტატის თამაზ ტულუშის მიერ 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ**

**ანგარიში**

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი სოფელ ნატანების ადმინისტრაციული ერთეულიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში.1). სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, 2). აგრარულ საკითხთა, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსები ~~შეფასების~~ ამავედროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომებში სულ 17-ჯერ, კომისიის სხდომებს სულ 41-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ~~შეფასების~~ სხდომას.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ ~~შეფასების~~ შეხვედრაში.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი სულ: 61-ი მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა: 1). სოფლის სასმელი წყლით მომარაგება, 2) შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება, მილხედებისა და მილგვირაბების შეკეთება. 3). სანიაღვრე არხების მოწყობა. 4) სოფლის სასაფლაოების შემოღობვა და მისასვლელი გზების მოწყობა. 5).რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტება და კეთილ მოწყობა. 6).სოფლის ამბულატორიის, ბავშთა ბაღების და სამუსიკო სკოლის შეკეთება. სოფლის სკოლების და საბავშვო ბაღების გაზიფიცირება. 7). ზემო ნატანების სკოლასთან არსებული ამორტიზირებული სპორტ დარბაზის დემონტაჟი. 8) სოფლის ცენტრში არსებული სპორტ

დარბაზის რეაბილიტაცია. 9) სოფლის ცენტრში დასასვენებელი და ბავშვებისათვის გასართობი პარკის მოწყობა. 10) სტიქიისა და მეწყერის მიერ დაზიანებული სახლების მეპატრონეები ითხოვენ სხვადასხვა სახის დახმარებებს.

ეხლა მინდა მოგახსენოთ იმ პროექტების შესახებ რომელიც სოფელ ნატანებში განხორციელდა როგორც საქართველოს მთავრობის ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. კერძოდ:

1. დაიგო ბეტონის საფარი 660 მ
2. შეკვეთილის საკურორტო ზოლში დაიგო ბეტონის საფარი მოეწყო გარე განათება და მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაცია.
3. ახალშენის უბნის სამოცდათხუთმეტი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა ოცდაათხსაათიანი სასმელი წყლის მიწოდებით, რომელი პროექტი დაიწყო 2017 წელს და დასრულდა 2018 წელს.
4. სოფლის ცენტრიდან რკინიგზის სადგურამდე მოეწყო გარე განათება.
5. 2018 წელს დაიწყო პროექტზე მუშაობა ზემო ნატანების 730 ოჯახისათვის სასმელი წყლით მომარაგების რომელიც უმოკლეს დროში დასრულდება.
6. კაპიტალურად გაკეთდა ნატანები თხინვალის დამაკავშირებელი დამეწყრილი საავტომობილო გზა.
7. 2017 წელს დაიწყო და 2018 წელს დამთავრდა შრომა ნატანების მეწყერისაგან დაზიანებული საავტომობილო გზის რამოდენიმე მონაკვეთი, გზის პირას სანიაღვრე არხები გზის პირას არსებული სოფლის სასაფლაოს კედელი ხუთი მეტრის სიმაღლის.
8. სოფელში 2017-2018 წლებში სტიქიის მიერ დაზიანებული ოჯახებს სულ შვიდს მიეცვა თუნუქის სახურავი, სრულად გადაიხურა ყოფილი ჩაის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის ბინა რომელშიც ამჟამად ცხოვრობს რვა ოჯახი.
9. სოფლის სხვადასხვა უბნებში მოიხრემა შიდა გზები სადაც შეტანილი იქნა 1000 კუბ/მ. ხრეში.

სოფლის 166 მოქალაქეს გაეწია სხვადასხვა დახმარებები სულ 38203,96 ლარით

როგორც საკრებულოს წევრი აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს მიერ სამართლებრივ აქტების მიღება დამტკიცებაში. კერძოდ:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ~~შეფასება~~ შეფასებაში.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების.

კურორტ გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დასამტკიცებლად დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში;

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის შემოღების შესახებ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

აგრეთვე საკრებულოს სხვადასხვა მიღებულ განკარგულება/დადგენილებებში რომლიც აისახება ჩემს მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრებით.

მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას საქრთველოს პარლამენტში ოზურგეთისა და ფოთის მაჟორიტარ დეპუტატებთან, საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან. რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს სოფლისათვის.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს.

საკრებულოს წევრი,  
სოფელ ნატანების მაჟორიტარი დეპუტატი  
თამაზ ტულუში  
13.02.2019 წ